ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №146

ქ. ქუთაისი 03 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" წარმოდგენილი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ს/კ 412675396; ტელ: 0231 25-37-00) და მეორეს მხრივ შპს „ბი ემ სი გორგია"-ს წარმომადგენლის იმერეთის რეგიონალური მენეჯერის გიორგი პაპიაშვილის სახით. (მისამართი: ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის# 8/4; ს/ნ 245621288; (შემდგომში „მიმწოდებელი")გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" #28 ფილიალისათვის,კარების შესყიდვა(GLUXAYA ვენგე) კომპლექტით 1 ცალი 105,95 ლარი(CPV 44221200) და 30 ფილიალისათვის კარის ანჯამები 5 ცალი ერთ ფასი 2,44 ლარი. (CPV 44523100) (შემდგომში საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 118,15ლარს (ასთვრამეტი ლარი და თხუთმეტი თეთრი)

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი ნანა ლორთქიფანიძე.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის №26

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 10 ნოემბრამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, წუნდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის გამოცვლის ან/და შეკეთების გზით.

გ) შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“	შპს „ბი ემ სი გორგია“_ს წარმომადგენლი იმერეთის რეგიონალური მენეჯერი გიორგი პაპიაშვილი
მის.: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ.#3 საიდენტიფიკაციო კოდი 412675396 ხაზინის ეროვნული ანგარიში	მის: ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის# 8/4 საიდენტიფიკაციო კოდი 245621288 პროკრედიტ ბანკი ა/ა GE62TB1007536020100008
_____	_____
დირექტორი: ნანა [illegible]	

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ქუთაისი 4 ნოემბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ერთის მხრივ შპს „ბი ემ სი გორგია“-ს წარმომადგენლის იმერეთის რეგიონალური მენეჯერის გიორგი პაპიაშვილის სახით. (მისამართი:ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის# 8/4 ს/ნ 245621288;) და მეორეს მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება”, წარმოდგენილი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით(ს/ნ 412675396)მის: ქ.ქუთაისი რუსთაველის №3) ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2016 წლის 3 ნოემბრის №146-ე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, შემსიყველის მოთხოვნის შესაბამისად, ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის” შეიძინა კარები (კომპლექტით) და ანჯამები. რომლის საერთო ღირებულებაა 118,15ლარი (ასთვრამეტი ლარი და თხუთმეტი თეთრი)ლარს.

დღგ-ს გათვალისწინებით.

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ჩავაბარე: მივიღე:

გიორგი პაპიაშვილი ნანა ლორთქიფანიძე